THE AUGUST 1991 MOSCOW COUP AND THE POSITION OF THE GEORGIAN COMMUNIST PARTY

1991 წლის მოსკოვის აგვისტოს პუტჩი და საქართველოს კომუნისტური პარტიის პოზიცია

Aleksandre Mosiashvili
Doctor of History,
Associate professor of
Iakob Gogebashvili Telavi state University,
Telavi, Georgian University St., № 1, 2200, Georgia,
+995599702969, Aleqsandre.mosiashvili@yahoo.com,
https://orcid.org/0000-0001-7846-6482

Abstract. In the early 1990s, the Kremlin continued to try to stop the inevitable collapse of the Soviet Union. The so-called Some of the Soviet republics had already declared the restoration of state independence and were patiently waiting for the de-jure recognition process to begin. In such a situation, in August 1991, certain forces in Moscow staged a coup. The aim of the putschists was to remove from the ranks of the Soviet government those people who, in their view, were contributing to the disintegration of the USSR and trying to replace them with individuals who would halt the disintegration process by demonstrating and / or using force. The mentioned event was followed by mixed reactions, both outside the Republic of Georgia and in Georgian political circles. A relevant statement was made by the Georgian national government, including its president, about the position of the Georgian government. The statement was cautious, measured and called on the Georgian people to remain vigilant and not to resort to provocations. Different positions were observed by the representatives of the opposition forces. Among them, the position taken by the Communist Party of Georgia, which was a direct support of the coup in Moscow, is noteworthy. The newspaper "Life" of the Georgian Communist Party reported about the open expression of this position. The previous article is a kind of analysis of the political assessments and results of the time around this issue. Interestingly, the newspaper is dated August 21, which makes us think of the following: Members of the Georgian Communist Party were hoping for a victory in the current coup. But they still did not know that August 21, the date of the newspaper's publication, would coincide with the end of the coup. It must be said that the position taken by the Communists posed a great threat to the de facto independence of Georgia, and the response of the authorities was quite logical.

Key words: August 1991; Putch; Newspaper ,,Tsxovreba“; Communist Party; President.

ალექსანდრე მოსიაშვილი
ისტორიის დოქტორი,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1. 2200,
საქართველო, +995599702969, Aleqsandre.mosiashvili@yahoo.com,
https://orcid.org/0000-0001-7846-6482

აბსტრაქტი. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში კრემლი კვლავ განაგრძობდა საბჭოთა კავშირის გარდაუვალი დაშლის პროცესის შეჩერების მცდელობას. ე. წ. საბჭოთა რესპუბლიკებიდან ნაწილს უკვე გამოცხადებული ჰქონდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და დე-იურე აღიარების პროცესის დაწყებას მოთმინებით ელოდა. სწორედ ასეთ ვითარებაში 1991 წლის აგვისტოში, მოსკოვში გარკვეული ძალები აწყობენ პუტჩს. პუტჩისტების მიზანს წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების სათავეებიდან იმ ხალხის ჩამოშორება, რომლებიც მათი შეხედულებით ხელს უწყობდნენ სსრ კავშირის დაშლას და ცდილობდნენ მათ ჩანაცვლებას ისეთი კადრებით, რომლებიც დაწყებულ რღვევის პროცესს შეაჩერებდნენ ძალის დემონსტრირების ან/და არა მხოლოდ დემონსტრირების, არამედ გამოყენების საშუალებით. აღნიშნულ მოვლენას არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვა, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს მიღმა ასევე, თვით ქართულ პოლიტიკურ წრეებშიც. საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მხრიდან, მისივე პრეზიდენტისგან გაკეთებულ იქნა შესაბამისი განცხადება ქართული მთავრობის პოზიციის შესახებ. აღნიშნული განცხადება იყო ფრთხილი, მოზომილი და შეიცავდა მოწოდებას საქართველოს მოსახლეობის მიმართ, რათა შეენარჩუნებინათ სიფრთხილე და არ აჰყოლოდნენ მოსალოდნელ პროვოკაციებს. განსხვავებული პოზიციები ფიქსირდებოდა ოპოზიციური ძალების წარმომადგენელთა მხრიდან. მათ შორის, აღსანიშნავია საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ დაფიქსირებული პოზიცია, რომელიც წარმოადგენდა მოსკოვში დაწყებული პუტჩის პირდაპირ მხარდაჭერას. აღნიშნული პოზიციის ღიად გამოხატვის შესახებ იუწყებოდა თვით საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანო გაზეთი ,,ცხოვრება“. წინამდებარე სტატია სწორედ აღნიშნული საკითხის ირგვლივ იმდროისათვის არსებული პოლიტიკური შეფასებების და შედეგების ერთგვარ ანალიზს წარმოადგენს. საინტერესოა, რომ გაზეთი თარიღდება 21 აგვისტოთი, რაც გვაფიქრებინებს შემდეგს: საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრები იმედოვნებდნენ მიმდინარე პუტჩის გამარჯვებას. მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ იმის შესახებ, რომ სწორედ 21 აგვისტოს, ანუ გაზეთის გამოცემის თარიღს დაემთხვეოდა დაწყებული გადატრიალების კრახით დასრულების მომენტი. შეფასებისათვის უნდა ითქვას, რომ კომუნისტების მიერ დაკავებული პოზიცია უდიდეს საფრთხეს შეიცავდა დე-ფაქტო დამოუკიდებლობა გამოცხადებული საქართველოსთვის და ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული რეაგირება სრულიად ლოგიკური იყო.

საკვანძო სიტყვები: 1991 წლის აგვისტო; პუტჩი; გაზეთი ,,ცხოვრება“; კომპარტია; პრეზიდენტი.

შესავალი. 1991 წლის 19-21 აგვისტოს მოსკოვის პუტჩის პერიპეტიები დღესაც არ კარგავს აქტუალობას. მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე და საქართველოს დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის პირობებში, სწორედ რუსეთის იმპერიულ ზრახვებთან და ქმედებებთან დაკავშირებული მოვლენების გახსენება-გაანალიზება, დაახლოებით სამი ათეული წლის გადასახედიდან, რეალობის აღქმაში გარკვეულ დახმარებას გაგვიწევს. იმ დროს, როდესაც გარკვეული ნეგატიური ძალები სსრ კავშირის შენარჩუნებას ცდილობდნენ, საქართველოში მათ მხარდამჭერად გამოიკვეთა კომუნისტური პარტია. საქართველოს კომუნისტების მხარდაჭერა ხსენებული პროცესისადმი მალევე გამჟღავნდა და როგორც პოლიტიკური წრეების ასევე, ქართული საზოგადოების არაერთგვაროვანი შეფასების საგნად იქცა. მართლაც, კომუნისტური პარტიისგან, რომ საქართველოს მოსახლეობა სიკეთეს არ მოელოდა, იმიტომაც მოახერხეს 1990 წლის 28 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მათი ოპოზიციაში გადაყვანა. რაც შეეხება საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთა მიერ გამოხატულ კრიტიკას და დაპირისპირებას ქართული ეროვნული ხელისუფლებისადმი, შეიძლება ითქვას არანაირი საფუძველი და გამართლება არ მოეძებნება. იმ მომენტში, როცა საქართველოს რესპუბლიკას გამოცხადებული ჰქონდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, მსგავსი ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც ,,მტრის წისქვილზე წყლის დასხმა“. ამჟამად, საქართველოში შემჩნეული რუსული აგიტაცია-პროპაგანდის ფონზე, როდესაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ჩნდება ნოსტალგიური შეგრძნებები საბჭოთა წყობილებისადმი, დგება საჭიროება მეტი მუშაობისა მსგავსი საკითხების გასაანალიზებლად და სწორი დასკვნების გამოტანის უზრუნველსაყოფად. მოცემული საკითხი ქართული თანამედროვე ისტორიოგრაფიისთვის კარგად არის ცნობილი, იგი მეტ-ნაკლებად განხილული და შეტანილია საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებშიც, მაგრამ არსებობს ერთი სამეცნიერო ნაშრომი: ,,1991 წლის აგვისტოს პუტჩი და საქართველო“(ავტორი _ დაზმირ ჯოჯუა), რომელიც საკმაოდ საინტერესო ანალიზსა და მსჯელობას შეიცავს ხსენებული საკითხის ირგვლივ. ბეჭდური მასალების გაცნობამ და ჩატარებულმა კვლევამ კი საშუალება მომცა შემდეგი დასკვნის გასაკეთებლად, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებული პირველი მრავალპარტიული არჩევნების დროს საქართველოს ამომრჩეველთა უმრავლესობამ სწორი არჩევანი გააკეთა, ხოლო არჩეულმა ხელისუფლებამ კი მოგვიანებით სწორი შეფასება მისცა კომპარტიის ნეგატიურ საქმიანობას, რაც თავის მხრივ, ამ პარტიის აკრძალვის საფუძველი გახდა.

მეთოდოლოგია. თუ რა პოზიცია ეკავა მოსკოვის აგვისტოს პუტჩის დროს საქართველოს კომპარტიას და რამდენად სწორად შეფასდა მისი ქმედებები ეროვნული ხელისუფლების მიერ, ამის დასადგენად გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები: პრესაში გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალების მოძიება, საკითხთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფიის გაცნობა, აღწერა, პრობლემის დანახვა, შედარება, მსჯელობა, კრიტიკული და ლოგიკური ანალიზი.

შედეგები. 1991 წლის 19-21 აგვისტოს მოსკოვში განვითარებული მოვლენების დასრულებისთანავე საქართველოში სერიოზული განხილვის და პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასებების საგნად იქცა საქართველოს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის დამოკიდებულება აღნიშნულ პუტჩში მონაწილე რეაქციული ძალების მიმართ. მიუხედავად თავის მართლების სხვადასხვა ფორმით მცდელობისა, კომუნისტებმა ვერ

შეძლეს საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაციის გადარჩენა. მათი ანტიკონსტიტუციური, კანონსაწინააღმდეგო ქმედებები მხედველობის მიღმა არ დარჩენია იმჟამინდელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს. კომუნისტების მიერ გაზეთ ,,ცხოვრების" პირველ გვერდზე გამოქვეყნებული მასალა იძლეოდა მათი მოღალატეობრივი საქმიანობის მხილების საფუძველს. ამ გადასახედიდან მცდელობა კიდევ ერთხელ შეფასებისა ან გადაფასებისა მომხდართან დაკავშირებით გაცილებით იოლია, რადგან ქართული პრესის ფურცლებზე არაერთი საინტერესო პუბლიკაცია იძებნება. მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით ჩატარებული მსჯელობა კი პირდაპირ იძლევა საშუალებას ქართული ეროვნული ხელისუფლების მიერ იმ ეტაპზე გადადგმული ნაბიჯების დადებითად შეფასებისათვის.

მსჯელობა. 1991 წლის 21 აგვისტოს გამოსული გაზეთ ,,ცხოვრება"-ს მორიგი ნომერი სათაურით: ,,ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის შესახებ" _ პუბლიკაციის პროლოგში მკითხველს აუწყებდა იმის შესახებ, რომ გამართულა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელსაც განუხილავს სსრ კავშირის ცალკეულ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საკითხი და საგანგებო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტები. დასკვნით ნაწილში კი სიტყვასიტყვით იკითხება შემდეგი: ,,ბიურომ გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს რესპუბლიკას მხოლოდ სიმშვიდე, საგანგებო კომიტეტისადმი მხარდაჭერა, ყველა ეროვნების მშრომელთა ერთიანობა და დაუღალავი შრომა გამოიყვანს უმძიმესი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ვითარებიდან. ამავე დროს ბიურო მოუწოდებს რესპუბლიკის ყველა კომუნისტს, მშრომელებს, ინტელიგენციას გაგებით მოეკიდონ შექმნილ მდგომარეობას და დაიცვან კეთილგონიერება". (ცხოვრება, 1991, გვ. №58) ამ მოწოდებაში ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი იყო განსაკუთრებული, რომ არა ერთი ფრაზა _ ,,საგანგებო კომიტეტისადმი მხარდაჭერა". თუ აქ კომუნისტები გულისხმობდნენ მხოლოდ იმას, რომ პოლიტიკურ სარბიელზე მოსკოვში ახლად გამოჩენილი რეაქციული ძალის მიმართ წინააღმდეგობის გაწევას არავითარი აზრი არ ჰქონდა და მხოლოდ სიმშვიდის შენარჩუნება იქნებოდა ამ მომენტში საქართველოსთვის გამოსავალი, მაშინ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ არცთუ ისეთი პოზიცია დაუკავებიათ, რომელიც ქვეყნის ინტერესებს დააზიანებდა. მით უმეტეს, თვით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმაც თავის მიმართვაში ქვეყნის მოსახლეობას სწორედ სიმშვიდისკენ მოუწოდა. ამ საკითხს(პრეზიდენტის მიმართვას) ქვემოთ კიდევ შევეხები. ახლა კი ზემოთ ნახსენები გამოქვეყნებული პუბლიკაციის ძირითად ნაწილსაც მივაქციოთ ყურადღება. მისი შინაარსი ძირითადად კრიტიკის პათოსს შეიცავს. კრიტიკა ეხება რესპუბლიკაში იმ დროისათვის არსებულ ვითარებას. ჩამოთვლილია სფეროები, სადაც მათი ინფორმაციით სიტუაცია საკმაოდ მძიმეა. კერძოდ, საგრძნობლად გაუარესებულია სამართალდარღვევების სტატისტიკური მონაცემები, კრახის წინაშე დგას ეკონომიკა, ბიუჯეტში დეფიციტმა მიაღწია არნახულ მაჩვენებლებს, ქვეყნის მრეწველობა თითქმის მთლიანად გაჩერებულია, ხოლო გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია უკონტროლოა. რომ დიდი ჩავარდნაა აგრარულ და ენერგეტიკის სფეროებში, ,,მიდის ომი საკავშირო კანონებთან, რითაც მკვიდრდება უკანონობა" (ცხოვრება, ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის შესახებ, 1991, გვ. №58) და ბოლოს ვკითხულობთ ყველაზე მთავარს: ,,საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დროულად, მიზანშეწონილად მიაჩნია სსრკ მთელ რიგ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის შემოღება და საგანგებო კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელება, რაც ქვეყანაში

ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ვითარების მოწესრიგებისა და კანონიერების განმტკიცებას ითვალისწინებს.“ (ცხოვრება, ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის შესახებ, 1991, გვ. №58) ახლა მივყვეთ თანმიმდევრულად: რას წარმოადგენდა კომუნისტური პარტია? პასუხს ფაქტების მოძიებით დიდი დრო და ძალისხმევა ნამდვილად არ სჭირდება, რადგან ის მარტივია _ ძალა, რომელიც თავის ანტიეროვნული და ათეისტური იდეოლოგიით სამოცდაათწლიანი მმართველობის მანძილზე იქცა უამრავი სიბოროტის ჩამდენად, მრავალი ტერორის, სისხლიანი რეპრესიების, დასმენების, გაუმართლებელი სამხედრო სადამსჯელო ექსპედიციების თუ ექსპანსიების, ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმის, ცენზურის, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ფეხქვეშ გათელვის სხვა მრავალი უბედურების ავტორად და შემოქმედად. რატომ იყო მისი პარტბიურო ასე კრიტიკულად განწყობილი? მათი პარტიული და შესაბამისად, სახელისუფლებო მმართველობიდან გამომდინარე, მით უფრო 1988 წლის ნოემბრის და 1989 წლის, როგორც აპრილის ასევე, მთელი წლის ტრაგიკული მოვლენები დიდწილად გახდა საფუძველი საქართველოში ხელისუფლების შეცვლისა. საქართველოს ამომრჩეველს მიეცა საშუალება არჩევნების ლეგიტიმურად და დემოკრატიულად ჩატარების გზით ქვეყნის სათავეში მოეყვანა ეროვნული ძალა. არჩევნებში დამარცხებული მმართველი პარტია კომუნისტების სახით კი საპარლამენტო ოპოზიციაში აღმოჩნდა. ასეთ შემთხვევაში ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკური ძალისგან კრიტიკა სახელისუფლებო ძალების მიმართ არ უნდა ჩაითვალოს მიუღებლად. სწორედ ჯანსაღი კრიტიკაა პარლამენტის და ხელისუფლების მუშაობისთვის ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი პირობა. რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა, რომელზეც გაზეთის პირველივე გვერდზე იყო საუბარი, შესაძლებელია მართლაც სრულიად რეალურად ყოფილიყო იმ დროისათვის. მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ამ ყველაფრის გამომწვევი მიზეზი? პასუხი ვფიქრობ შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას: 1990 წლის 28 ოქტომბრისთვის, როდესაც საქართველოში მოხდა ხელისუფლების ცვლილება, რესპუბლიკის და მთლიანად სსრკ-ის ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. ჯერ კიდევ ცოტა ადრე 80-იან წლებში მოსახლეობისათვის თავსმოხვეული სატალონო სისტემა ნათლად მეტყველებდა საბჭოთა ეკონომიკის მძიმე მდგომარეობაზე. 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისისთვის ნელ-ნელა გამოცარიელდა მაღაზიების დახლები. ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს პოლიტიკური კრიზისიც თან დაერთო და მოსახლეობის რეაქციამაც არჩევნებზე არ დააყოვნა.

ეროვნული ხელისუფლების მიერ თავიდანვე გამოცხადებული ,,გარდამავალი პერიოდი“ (აბაშიძე, საქართველო და ქართველები, 2013, გვ. 667) რასაც გულისხმობდა ვფიქრობ, საქართველოს კომუნისტებისთვისაც გასაგები უნდა ყოფილიყო. შესამუშავებელი და ცხოვრებაში პრაქტიკულად განსახორციელებელი იყო მრავალი ახალი კანონი. გასატარებელი იყო რეფორმები სხვადასხვა სფეროებში. ყველაფერი ძველი ახლით და თანაც ეროვნულით უნდა შეცვლილიყო. მოკლედ, შექმნილი მდგომარეობა თუ სახარბიელო არ იყო, გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო. საქართველოს რესპუბლიკას იმ მომენტისთვის ხომ მხოლოდ გამოცხადებული ჰქონდა დე-ფაქტოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ის არ იყო საბოლოოდ დამოუკიდებელი და მით უმეტეს, თავისუფალი ქვეყანა. შესაბამისად, მასზე ჯერ კიდევ გარკვეულწილად ვრცელდებოდა საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია, რაც თავის მხრივ, შეიძლება ქვეყნის განვითარების საკითხში ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ გარემოებად განვიხილოთ.

ახლა იმ ზემოხსენებული მიმართვის შინაარსსაც დავაკვირდეთ, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გააკეთა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო _ გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა" თავის 1991 წლის 20 აგვისტოს გამოცემული ნომრის პირველ გვერდზე ინახავს გავრცელებული მიმართვის მთლიან ვერსიას სათაურით: ,,მთავარია, შევინარჩუნოთ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა!" მისი პირველი აბზაცი ინფორმაციული ხასიათისაა და იტყობინება საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაში მოულოდნელად განხორციელებული ცვლილებების შესახებ, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ცალკეულ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების თაობაზე. მოდევნო აბზაცებში კი წერია: ,,საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნიათ, რომ შექმნილ ვითარებაში მთავარია, შევინარჩუნოთ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა.

მივმართავ საქართველოს რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, გაითვალისწინონ შექმნილი ვითარება _ ერთიანი, შეთანხმებული მოქმედების აუცილებლობა.

მოგიწოდებთ ყველას, ვიყოთ სამუშაო ადგილებზე, შევასრულოთ სამსახურებრივი მოვალეობა, არ ავყვეთ პროვოკაციებს, არ დავუშვათ თვითნებური მოქმედება. დავემორჩილოთ საქართველოს ხელისუფლების ორგანოთა განკარგულებებს.

დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ ამგვარად შევძლებთ ჩვენს რესპუბლიკაში სამოქალაქო სიმშვიდისა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

იმედია, საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა გამოიჩენს მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებულობასა და პასუხისმგებლობას." (გამსახურდია, მთავარია შევინარჩუნოთ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა!, 1991, გვ. №162) აღნიშნული მიმართვა თარიღდება 19 აგვისტოთი, რაც შეიძლება შევაფასოთ, როგორც დროული. რაც შეეხება მის შინაარსობრივ მხარეს, უნდა ითქვას, რომ სრულიად თანმიმდევრულად, შექმნილი მეტად საშიში სიტუაციის გათვალისწინებით, ჩამოყალიბებულია ის აუცილებლად გასათვალისწინებელი პირობები, რაც იმ მომენტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. მიმართვაში გაჟღერებული ,,საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, გაითვალისწინონ შექმნილი ვითარება _ ერთიანი, შეთანხმებული მოქმედების აუცილებლობა" (გამსახურდია, მთავარია შევინარჩუნოთ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა, 1991, გვ. №162) _ რატომ არ უნდა ყოფილიყო გასათვალისწინებელი საქართველოს კომუნისტური პარტიისთვის? ისიც ხომ ისეთივე პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, როგორც სხვა დანარჩენები? ერთმნიშვნელოვნად, პასუხია _ რა თქმა უნდა. მაშინ რას ნიშნავდა ზემოთ წარმოდგენილი ციტატა ,,საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დროულად, მიზანშეწონილად მიაჩნია სსრკ მთელ რიგ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის შემოღება და საგანგებო კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელება, რაც ქვეყანაში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ვითარების მოწესრიგებისა და კანონიერების განმტკიცებას ითვალისწინებს"? როგორც ითქვა, საქართველოს კომუნისტური პარტიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი ,,ცხოვრება" ჩვენთვის საინტერესო ნომრის გამოცემას ათარიღებს 21 აგვისტოთი. თუმცა, ცნობილია, რომ მისი გამოცემა ხდებოდა არარეგულარულად. სამწუხაროდ, ჩვენ გაზეთი არ გვამცნობს თუ როდის გაიმართა ბიუროს სხდომა 19, 20 თუ 21 აგვისტოს. ყოველი შემთხვევისთვის მოსკოვში განვითარებული მოვლენების შესახებ

საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა 19 აგვისტოს. როგორც აღვნიშნეთ 19 აგვისტოსვე მოხდა რეაგირება საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან. ყოველი შემთხვევისთვის, გაზეთი ,,ცხოვრება“ თუკი 21 აგვისტოს გამოიცა, 19 აგვისტოს ხელისუფლების პოზიციის გაჟღერებამდეც, რომ დაესწროთ კომუნისტებს და შეემუშავებინათ გამოსაქვეყნებელი ტექსტი, 21 რიცხვამდე (რითაც თარიღდება გამოცემა) შეეძლოთ ტექსტის ამოღება ან შეცვლა.

ამდენად, საქართველოს კომპარტიის პოზიციას ვერ შევაფასებთ, როგორც ნაჩქარევად შედგენილს და გამოქვეყნებულს. მაშ რა ამოძრავებდა ხელისუფლებას ჩამოშორებულ პოლიტიკურ ძალას? რატომ არ ემორჩილებოდა ის ქართული ხელისუფლების მოწოდებას? ამ დროს ხომ პასუხისმგებელი შექმნილი სიტუაციიდან მშვიდობიანად გამოსვლაზე ხელისუფლება იყო და არა ოპოზიცია? რასაკვირველია, არ არის ძნელად მისახვედრი მათი ქმედების არსი და გათვლები. ისინი ვერ ურიგდებოდნენ ძალაუფლების დათმობას და ყველა ღონეს იხმარდნენ პოლიტიკური რევანშის განსახორციელებლად.

ყველაფერთან ერთად რა თქმა უნდა საინტერესოა თუ რა პროცესები განვითარდა საქართველოში 1991 წლის 19-21 აგვისტოს მოსკოვის პუტჩის დამარცხების შემდეგ. მაგრამ ამჯერად თავი შევიკავოთ მათი შეფასებისგან და ისევ უშუალოდ იმ პუბლიკაციის გამოძახილს დავაკვირდეთ, რომელმაც ნამდვილად გამოიწვია ვნებათაღელვა. 22 აგვისტოს უკვე გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“ აქვეყნებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადებას გაზეთ ,,ცხოვრება“-ში გამოქვეყნებული მიმართვის შესახებ, სადაც განმარტებულია შემდეგი: ,,აღნიშნული ინფორმაცია არასწორად ასახავს ბიუროს დამოკიდებულებას მომხდარი ფაქტისა და საგანგებო კომიტეტისადმი ის სრულად არ შეესაბამება ბიუროს მიერ მიღებული დადგენილების შინაარსს.“ (რესპუბლიკა, 1991, გვ. №163) აქ ჩნდება შეკითხვა, რამ აიძულა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა, რომ გაეკეთებინა აღნიშნული განცხადება? მის ტექსტში არანაირად არ ჩანს მცდელობა, დაინტერესება ან სურვილი, რომ ან ამხილონ ან შეეცადონ ინფორმაციის გამყალბებლის გამოვლენას, თუკი რა თქმა უნდა ასეთი ვინმე შეიძლებოდა არსებულიყო. შესაბამისად, მისახვედრია მათი მცდელობის მიზანი _ იმართლონ თავი საზოგადოების წინაშე. მაგრამ, როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ 21 აგვისტოს, ანუ გაზეთ ,,ცხოვრების“ გამოქვეყნებისთანავე პოლიტიკურ ბლოკ ,,თავისუფლება“-ს გაუკეთებია განცხადება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. კერძოდ, ისინი მომხდარს აძლევენ შეფასებას:

,,1. როგორც დეკლარაცია პოლიტიკური თანამშრომლობისა უცხო სახელმწიფოსთან მისი იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად საქართველოში;

2. როგორც პირდაპირი ხელყოფა საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტისა, დეკლარირებულის 1991 წლის 9 აპრილის საპარლამენტო აქტითა და რესპუბლიკის კონსტიტუციით;

3. როგორც პოლიტიკურ-ორგანიზაციული მზადყოფნა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებისათვის, სსრკ-ის საიმპერიო სამხედრო ძალის დახმარებით რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების დამხობისთვის.“ (რესპუბლიკა, პოლიტიკურ ბლოკ ,,თავისუფლების" განცხადება, 1991, გვ. №165) ამავე განცხადების მიხედვით, საქართველოს კომპარტია მიჩნეულია უცხო ქვეყნის აგენტურად, ,,მეხუთე კოლონად“, რომელიც შენიღბულია და მოქმედებს პოლიტიკური პარტიის სახელით. რომ წარმოადგენს კრიმინალურ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომლის არსებობაც არის ანტიკონსტიტუციური და საჭიროა მისი კანონგარეშედ გამოცხადება. შესაბამისად, ისინი მიმართავენ საქართველოს უზენაეს საბჭოს, რათა გაირკვეს კომპარტიის წარმომადგენლობის

კანონიერების საკითხი რესპუბლიკის პარლამენტში. ბოლოს კი ბლოკი ,,თავისუფლება“ აჟღერებს წინადადებას _ ,,აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის წინააღმდეგ სახელმწიფო ღალატის ბრალდებით.“ (რესპუბლიკა, პოლიტიკურ ბლოკ ,,თავისუფლების" განცხადება, 1991, გვ. №165)

ამ განცხადების მიხედვით შეიძლება შემდეგის აღნიშვნა, რომ ბლოკი ,,თავისუფლება“, როგორც ცნობილია არ წარმოადგენდა სახელისუფლებო პოლიტიკურ ძალას და ფაქტია, რომ თვით ოპოზიციურ სპექტრშიც ვერ მოიპოვეს დიდი მხარდაჭერა თავიანთი პოზიციის გამოხატვით კომუნისტებმა. ამის დასტურად მოვიტანოთ კიდევ ერთი მაგალითი. კერძოდ, გაკეთებული განცხადება ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკური ორგანიზაცია ,,დას“-ის პოლიტიკური საბჭოს მიერ კომუნისტების ერთი ჯგუფის მიერ წარმოდგენილ თავის მართლებასთან დაკავშირებით. მათი შეფასებით ,,რაც ყველასათვის ცხადი გახდა, რომ რეაქცია დამარცხდა, საქართველოს კომპარტიამ მორიგი განცხადებით გააკეთა უსუსური ცდა თავის მართლებისა.“ (რესპუბლიკა, პოლიტიკური ორგანიზაცია ,,დას"-ის პოლიტიკური საბჭოს განცხადება, 1991, გვ. №165) ისინი მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დაარღვია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, კანონი ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“, რომლის მესამე მუხლიც კრძალავდა ისეთი პოლიტიკური გაერთიანებების შექმნასა და საქმიანობას, რომლის მიზანსაც შეადგენდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობრივი გზით შეცვლა.

რასაკვირველია, ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური ორგანიზაციების განცხადებებს არც სახელისუფლებო ბლოკში შემავალი პოლიტიკური პარტიები ჩამორჩნენ. მაგალითად, პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნული ფრონტი _ რადიკალური კავშირის გამგეობის განცხადება, რომელიც იწყება ასეთი წინადადებით: ,,სეფრკ გამგეობა ა. წ. 22 აგვისტოს სხდომაზე გაეცნო საქართველოს კპ (რომელმაც ოპერატიულად მოიშორა განსაზღვრება ,,დამოუკიდებელი“) ცკ-ის ბიუროს სხდომის ანგარიში სსრკ-ის ცალკეულ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და საგანგებო კომიტეტების შექმნის შესახებ.“ (რესპუბლიკა, საქართველოს ეროვნული ფრონტი _ რადიკალური კავშირის გამგეობის განცხადება, 1991, გვ. №165) ამის შემდეგ, ჩანს დაახლოებით ისეთივე შეფასება ფაქტისა, როგორც ზემომოტანილ განცხადებებში იყო. მაშ რა იყო აქ განსხვავებული ან განსაკუთრებული? _ ჩნდება შეკითხვა. ამის პასუხი ოდნავ ქვემოთ განვმარტოთ.

ახლა კი დავაკვირდეთ თვით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის წევრების და მისი აპარატის მუშაკთა ჯგუფის განცხადებას. მათი თქმით საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიურო არ აკეთებდა სწორ დასკვნებს და აგრძელებდა ორმაგ თამაშს, რითაც ცდილობდა საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, რომ ასეთი ნაბიჯები შეურაცხყოფდა პარტიის წევრებს, ერს და მთლიანად საზოგადოებას. ისინი თვლიდნენ, რომ სასწრაფოდ იყო მოსაწვევი საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პლენუმი, ხოლო ცკ-ის ბიუროს _ მანამდე უნდა შეეწყვიტა საქმიანობა. პლენუმზე კი უნდა გადაწყვეტილიყო პოლიტიკური ორგანიზაციის საქართველოს კომპარტიის შემდგომი ფუნქციონირების მიზანშეწონილობის საკითხი. ამდენად, პოლიტიკური ორგანიზაცია ,,დას“-ის პოლიტიკური საბჭოს მიერ გაკეთებული შეფასების არ იყოს _ ,,საქართველოს კომპარტიამ მორიგი განცხადებით გააკეთა უსუსური ცდა თავის მართლებისა“ _ აქაც ვფიქრობ ასეთივე შეფასება იქნებოდა სწორი. თითქოსდა საქართველოს კომუნისტური პარტიის საპარლამენტო მანდატებით აღჭურვილი

დეპუტატები იმავე ძალის წარმომადგენლები არ იყვნენ, რომელმაც თავდაპირველად ზემონახსენები პოზიცია გააჟღერა. როგორც ჩანს კომუნისტური პარტიის ზოგიერთ წევრებს სურდათ თავი მათივე პარტიის ბიუროსაგან გამიჯნულად წარმოედგინათ, ამით საკუთარი თავიც გადაერჩინათ, საპარლამენტო სავარძლებიც შეენარჩუნებინათ და შემდგომში გაეგრძელებინათ ქვეყნისთვის საზიანო საქმიანობა. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ზემოთ წარმოდგენილი, საქართველოს ეროვნული ფრონტი _ რადიკალური კავშირის გამგეობის განცხადება, რომლის ტექსტშიც ფრჩხილებში იყო მონიშნული შემდეგი ფრაზა ,,რომელმაც ოპერატიულად მოიშორა განსაზღვრება დამოუკიდებელი“. სწორედ აქ შევეცადოთ აღნიშნული ფრაზის მნიშვნელობის განმარტებას. საქმე იმაშია, რომ საპარლამენტო არჩევნებზე დამარცხების შემდეგ საქართველოს კომუნისტურ პარტიას, რომ გაეგრძელებინა პოლიტიკურ ასპარეზზე საქმიანობა და თან საზოგადოებისთვის ეჩვენებინა, რომ ემიჯნებოდა ძველ დანაშაულებრივ ქმედებებს და სუფთა ფურცლიდან, სუფთა ხელებით აპირებდა შემდგომი პოლიტიკური ცხოვრების გაგრძელებას. ამისთვის, მათ თავიანთ პოლიტიკურ ორგანიზაციას დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია უწოდეს და თითქოს ამით ყოველგვარი მოსკოვური დირექტივებისაგან გაითავისუფლეს თავი. მაგრამ, ფაქტი ერთია, რომ როგორც კი მიეცათ შესაძლებლობა საკუთარი რეალური სახის გამომჟღავნებისა, მაშინვე ეფექტურად წარმოაჩინეს თავიანთი მზაკვრული განზრახვები. აბა, სხვა რით აიხსნება ის ფაქტი, რომ გაზეთ ,,ცხოვრება“-ში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში ერთხელაც არ არის ნახსენები ,,დამოუკიდებელი“ საქართველოს კომპარტიასთან მიმართებაში? ე. ი. როგორც კი დაინახეს პერსპექტივა (მათი გადასახედიდან) ხელისუფლების დაბრუნების, მაშინვე დაიკავეს კრემლის რეაქციული ძალების მაამებლური, მხარდამჭერი პოზიცია და პუტჩის გამარჯვების შემთხვევაში მზად იყვნენ პოლიტიკური რევანშისთვის ნებისმიერი ფორმით.

ფაქტობრივად, გასარკვევი რჩება ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი. კერძოდ, მოსკოვში რეაქციული ძალების გამარჯვების შემთხვევაში რა საფრთხე დაემუქრებოდა დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე მავალ საქართველოს? რატომ გამოიყურებოდა კომპარტიის პოზიცია ასე რეზონანსულად? დასმულ კითხვებზე საპასუხოდ მასალები საკმაოდ მოიძებნება. მიუხედავად იმისა, რომ საგანგებო კომიტეტის მიერ გაკეთებულ განცხადებაში არ ჩანდა კონკრეტულად რომელ რეგიონებში ცხადდებოდა საგანგებო მდგომარეობა და ამავე დროს საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ წამოყენებულ პირობებში სიტყვასიტყვით ეწერა: ,,დაუყოვნებლივ გაუქმდეს სსრკ კონსტიტუციისა და კანონების საწინააღმდეგოდ მოქმედი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, გასამხედროებული ფორმირებანი...“ (ჯოჯუა, 2007, გვ. 326) საშიშროება, რომ რეალურად არსებობდა საქართველოსთვის ეს ჩანს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ 1991 წლის 22 აგვისტოს მოსკოვში პრეზიდენტ ელცინის და რსფსრ სახალხო დეპუტატთა საგანგებო სესიისადმი გაგზავნილ წერილშიც. სადაც აღნიშნულია, რომ პუტჩის დაწყების პირველივე დღეს საქართველოში მოვლინებულ იყო სსრკ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე არმიის გენერალი შურალიოვი, რომელმაც ადგილობრივ ხელისუფლებას წაუყენა ულტიმატუმები და შეეცადა რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უხეშად ჩარევას. ამის პარალელურად სამხედროებმა ,,კონტროლი დაუწესეს აეროპორტს, ვაგზლებს, ცდილობდნენ განეხორციელებინათ მანევრები“ (გამსახურდია, პრეზიდენტ ბორის ელცინს რსფსრ სახალხო დეპუტატთა საგანგებო სესიას, 1991, გვ. 280) და ა. შ. აქ, შეგნებულად აღარ გავაგრძელებ შექმნილი ვითარებიდან იმ გამოსავლის შესახებ საუბარს, რაც გამონახა

იმჟამინდელმა ქართულმა ეროვნულმა ხელისუფლებამ თუნდაც ეროვნული გვარდიის ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად და სხვა. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ბრძანებულებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის მოქმედების შეჩერების შესახებ 1991 წლის 26 აგვისტოს მოაწერა ხელი. (გამსახურდია, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება, 2011, გვ. 399)

დასკვნები: ფაქტია, რომ 1991 წლის 19-21 აგვისტოს მოსკოვის პუტჩი რეაქციული ძალების გამარჯვებით დასრულების შემთხვევაში, სერიოზულ საშიშროებას უქმნიდა საქართველოს რესპუბლიკას. ასეთ ვითარებაში აღნიშნული მოვლენისადმი მხარდაჭერა, რაც რეალურად განახორციელა საქართველოს კომპარტიამ, წარმოადგენდა არა უბრალოდ გაუმართლებელ ქმედებას, არამედ ღალატს საკუთარი ხალხის და დე-იურე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარების მომლოდინე ქვეყნისთვის. მიუხედავად ამისა და მიუხედავად გატარებული ზომებისა კრემლიდან მხარდაჭერილი ძალების მიერ ოდნავ მოგვიანებით ერთგვარი კომუნისტური რევანში მაინც შედგა, რომლის შედეგადაც საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმურად არჩეული ეროვნული ხელისუფლება დამხობილ და განდევნილ იქნა საქართველოდან, რასაც ქვეყანაში ხანგრძლივი ნეგატიური პროცესები მოჰყვა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

აბაშიძე, ზ. ბ. (2013). *საქართველო დ აქართველები.* თბილისი: ფავორიტი პრინტი.

აბაშიძე, ზ. ბ. (2013). *საქართველო და ქართველები.* თბილისი: ფავორიტი პრინტი.

გამსახურდია, ზ. (1991). *მთავარია შევინარჩუნოთ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა.* თბილისი: საქართველოს რესპუბლიკა.

გამსახურდია, ზ. (1991). *მთავარია შევინარჩუნოთ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა!* თბილისი: საქართველოს რესპუბლიკა.

გამსახურდია, ზ. (1991). *პრეზიდენტ ბორის ელცინს რსფსრ სახალხო დეპუტატთა საგანგებო სესიას.* თბილისი: საქართველოს რესპუბლიკა.

გამსახურდია, ზ. (2011). *საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება.* თბილისი: მერიდიანი.

რესპუბლიკა, ს. (1991). *პოლიტიკურ ბლოკ ,,თავისუფლების" განცხადება.* თბილისი: პოლიტიკური ბლოკი ,,თავისუფლება".

რესპუბლიკა, ს. (1991). *პოლიტიკურ ბლოკ ,,თავისუფლების" განცხადება.* თბილისი: პოლიტიკური ბლოკი ,,თავისუფლება".

რესპუბლიკა, ს. (1991). *პოლიტიკური ორგანიზაცია ,,დას"-ის პოლიტიკური საბჭოს განცხადება.* თბილისი: პოლიტიკური ორგანიზაცია ,,დას"-ი.

რესპუბლიკა, ს. (1991). *საქართველოს ეროვნული ფრონტი _ რადიკალური კავშირის გამგეობის განცხადება.* თბილისი: საქართველოს ეროვნული ფრონტი _ რადიკალური კავშირი.

რესპუბლიკა, ს. (1991). *საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება.* თბილისი: საქართველოს კომუნისტური პარტია.

ცხოვრება. (1991). *გაზეთი.* თბილისი: საქართველოს კომუნისტური პარტია.

ცხოვრება. (1991). *ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის შესახებ.* თბილისი: საქართველოს კომუნისტური პარტია.

ცხოვრება. (1991). *ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის შესახებ.* თბილისი: საქართველოს კომუნისტური პარტია.

ჯოჯუა, დ. (2007). *1991 წლის აგვისტოს პუტჩი და საქართველო.* თბილისი: სოხუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

REFERENCES

abashidze, z. bakht'adze, m. janelidze, o. (2013). *sakartvelo d akartvelebi. [Georgia and Georgians]* tbilisi: pavorit'i p'rint'i.

abashidze, z. bakht'adze, m. janelidze, o. (2013). *sakartvelo d akartvelebi. [Georgia and Georgians]* tbilisi: pavorit'i p'rint'i.

gamsakhurdia, z. (1991). *mtavaria shevinarchunot simshvide, ts'esrigi da distsip'lina. [The main thing is to keep calm, order and discipline].* tbilisi: sakartvelos resp'ublik'a. *[,,Republic of Georgia“].*

gamsakhurdia, z. (1991). *mtavaria shevinarchunot simshvide, ts'esrigi da distsip'lina. [The main thing is to keep calm, order and discipline].* tbilisi: sakartvelos resp'ublik'a. *[,,Republic of Georgia“].*

gamsakhurdia, z. (1991). *mtavaria shevinarchunot simshvide, ts'esrigi da distsip'lina. [The main thing is to keep calm, order and discipline].* tbilisi: sakartvelos resp'ublik'a. *[,,Republic of Georgia“].*

gamsakhurdia, z. (2011). *sakartvelos resp'ublik'is p'rezident'is brdzanebuleba. [Decree of the President of the Republic of Georgia].* tbilisi: meridiani.

resp'ublik'a, s. (1991). *p'olit'ik'ur blok' ,,tavisuplebis" gantskhadeba. [Statement of the political bloc "Freedom"]. [,,Republic of Georgia“].* tbilisi: p'olit'ik'uri blok'i ,,tavisupleba".

resp'ublik'a, s. (1991). *p'olit'ik'ur blok' ,,tavisuplebis" gantskhadeba. [Statement of the political bloc "Freedom"]. [,,Republic of Georgia“].* tbilisi: p'olit'ik'uri blok'i ,,tavisupleba".

resp'ublik'a, s. (1991). *p'olit'ik'uri organizatsia ,,das"-is p'olit'ik'uri sabch'os gantskhadeba. [Statement of the Political Council of the political organization "Das"]. [,,Republic of Georgia“].* tbilisi: p'olit'ik'uri organizatsia ,,das"-i.

resp'ublik'a, s. (1991). *sakartvelos erovnuli pront'i _ radik'aluri k'avshiris gamgeobis gantskhadeba. [Georgian National Front - Statement of the Board of the Radical Union]. [,,Republic of Georgia“].* tbilisi: sakartvelos erovnuli pront'i _ radik'aluri k'avshiri.

resp'ublik'a, s. (1991). *sakartvelos k'omp'art'iis tsent'raluri k'omit'et'is gantskhadeba. [Statement of the Central Committee of the Georgian Communist Party]. [,,Republic of Georgia“].* tbilisi: sakartvelos k'omunist'uri p'art'ia.

tskhovreba. (1991). gazeti. *[,,life“].* tbilisi: sakartvelos k'omunist'uri p'art'ia.

tskhovreba. (1991). *tsnoba sakartvelos k'omp'art'iis tsent'raluri k'omit'et'is biuros skhdomis shesakheb. [Information on the sitting of the Bureau of the Central Committee of the Communist Party of Georgia]. [,,life“].* tbilisi: sakartvelos k'omunist'uri p'art'ia.

tskhovreba. (1991). *tsnoba sakartvelos k'omp'art'iis tsent'raluri k'omit'et'is biuros skhdomis shesakheb. [Information on the sitting of the Bureau of the Central Committee of the Communist Party of Georgia]. [,,life“].* tbilisi: sakartvelos k'omunist'uri p'art'ia.

jojua, d. (2007). *1991 ts'lis agvist'os p'ut'chi da sakartvelo. [August 1991 putsch and Georgia].* tbilisi: sokhumis universit'et'is gamomtsemloba. [Sokhumi University Publishing House].

მადლიერება: მინდა მადლიერება გამოვხატო სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგის ქალბატონ ნანა ყარაულაშვილის მიმართ. სწორედ მან აღმომიჩინა დახმარება სტატიაზე სამუშაოდ, სხვადასხვა ბეჭდური მასალის მოძიების საქმეში.